საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილება #1

აბაშის მუნიციპალიტეტში სოფელი წყემის გზის რეაბილიტაცია

კონტრაქტის/ტენდერის #: EIB/MIMP/W/NCB/05-2016

სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილი 2-ის მე-IX თავის - კონტრაქტის კონკრეტული პირობების მუხლი 49.1 - კონტრაქტის ზოგადი პირობები, შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

ავანსი შეადგენს კონტრაქტის მიღებული თანხის **20%** და კონტრაქტორისათვის გადახდილი იქნება 2 (ორი) ნაწილად დამკვეთისავის მისაღები, იგივე ოდენობის ბანკის მიერ გაცემული საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წამოდგენის შემდეგ. თუკი გარანტია გაცემულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ბანკის მიერ, გარანტია დამოწმებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მისი ამოქმედების შესაძლებლობას.

ნაწილი 1: კონტრაქტის მიღებული თანხის **10%** გადახდილი იქნება 28 დღის განმავლობაში კონტრაქტორის მიერ ექვივალენტურ თანხაზე საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან;

ნაწილი 2: კონტრაქტის მიღებული თანხის **10%** გადახდილი იქნება 28 დღის განმავლობაში კონტრაქტორის მიერ ექვივალენტურ თანხაზე საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან და კონტრაქტის ზოგადი პირობების 49.2 მუხლის შესაბამისად პროექტის მენეჯერის მიერ საავანსო თანხის პირველი ნაწილის ხარჯვის დადასტურებიდან.